



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31.31212111

თარიღი:30/07/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №37

2021 წლის 30 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და 38-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდეს 55%-ით და განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა და ამ საფასურიდან "ბიჯის" განსაზღვრა							
N	მისამართი	დასახელება	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	შემცირებული საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	ბიჯის სიდიდე % (ლარი)	აუქციონის სახე
1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩოლობარგი	არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.04.51.692	13390	45% - 6 025,50	10%-603	განმეორებითი ელექტრონული
2	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.02.41.366	34200	45% - 15 390	10% - 1 539	განმეორებითი ელექტრონული
3	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობა	27.02.41.163	91 482	45% - 41 166.9	10% - 4 117	განმეორებითი ელექტრონული
4	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.02.41.367	12 800	45% - 5 760	10% - 576	განმეორებითი ელექტრონული
5	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.02.42.154	13 560	45% - 6 102	10%-611	განმეორებითი ელექტრონული